ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 9

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 1 თებერვალი 2013 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქ.გორის № 9 საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი [illegible] დირექტორი ელენე ხაჩიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „მაგთიკომი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენი[illegible] მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესა[illegible] საქართველოს კანონის 20[illegible] მუხლის, „ფიქსური სატელეფონო მომსახურებისა და საბუჭდი ჟაღალდის სახელმწი[illegible] შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის [illegible] წლის 24 დეკემბრის N2045 განკარგულებისა და „ფიქსური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებ[illegible] ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვ[illegible] სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 26 დეკემბრის N18 ბრძანების საფუძველზე, ფიქსური სატელეფ[illegible] მომსახურების 2013 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON130000007) (შემდგომში - კონსოლიდირებ[illegible] ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ძირითადი პირობები

1.1 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის თანამშრომლებისა და არათანამშრომლების ნომრებზე (შემდგომში [illegible] სააბონენტო ნომრები) მობილური სატელეფონო კავშირის (შემდგომში მომსახურება), განხორციელ[illegible] უზრუნველყოფა (CPV კოდი: 64200000).

1.2 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების საფასური გადაიხდება წინამდებარე ხელშეკრულ[illegible] პირობების შესაბამისად.

1.3 მიმწოდებელი შემსყიდველის სააბონენტო ნომერზე ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულებითა[illegible] დანართებით (რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია) გათვალისწინებულ მომსახურება[illegible]

1.4 შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების დანართში მითითებული ჯგუფების მიხედვით წარუდგი[illegible] მიმწოდებელს სააბონენტო ნომრების სია, რომელთაც მიმწოდებელმა უნდა გაუწიოს ამ ხელშეკრულებ[illegible] გათვალისწინებული მომსახურება. მე-5 ჯგუფში მითითებული არათანამშრომლების ნომრებს ასევე უნდა ახლ[illegible] მათი მესაკუთრის სახელი, გვარი და პირადი ნომერი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 0 ლარი.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ას[illegible] წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს [illegible] საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3. სააბონენტო ნომრებიდან, რომელთათვისაც მიმწოდებლის მიერ დაწესებულია სპეციალური ტარ[illegible] საქართველოს ნებისმიერ საკომუნიკაციო ქსელის სატელეფონო ნომრებზე ზარის განხორციელების შემთხვევ[illegible] ნებისმიერი სხვა საკომუნიკაციო ოპერატორის ქსელის ტრანზიტით (მაგ. 10 07; 10 18 და ა.შ.), საერთაშორისო ან[illegible] ადგილობრივი ზარის განხორციელებისას, არ იმოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებ[illegible] პირობები.

3.თანამშრომლების ნომრების მომსახურებაზე ანგარიშსწორების წესი

2.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნ[illegible] ანგარიშსწორების ფორმით ეროვნ[illegible] ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.5. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად, მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარ[illegible] აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

2.6. მიმდინარე თვეს გაწეული მომსახურების დაანგარიშება და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტუ[illegible] შემსყიდველისათვის წარდგენა უნდა მოხდეს ყოველი მომდევნო თვის პირველ 10 რიცხვამდე. შემსყიდვ[illegible] ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვად[illegible] დაადასტურის ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშ-ფაქტუ[illegible] შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადასტურების შემთხვევაში, ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად მიღ[illegible] ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და გაწეული მომსახურების მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარ[illegible] ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ელენე ხაჩიძე.

4.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია საქართველო, ხოლო როუმინგის შემთხვევაში - შესაბამისი ქვეყანა.

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 1 თებერვლიდან 2013 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს მომსახურების მეჩერება ერთ ან რამოდენიმე სააბონენტო ნომერზე გარკვეული ვადით, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს.

ბ) მოითხოვოს მომსახურების გაუქმება, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

გ) მიმართოს წერილობითი განცხადებით-პრეტენზიით მიმწოდებელს სატელეფონო საუბრის გადასახადთან დაკავშირებით, აღნიშნული საუბრის განხორციელებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში. პრეტენზია შედგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადების სახით და წარედგინოს/მიეწოდოს მიმწოდებლის მომსახურების ოფისებში დანართი #2-ით მითითებული მისამართების მიხედვით. შემსყიდველის მიერ წარდგენილი პრეტენზია მიმწოდებლის მიერ განხილული იქნება მიმწოდებლის მიერ დადგენილი და დამტკიცებული წესების მიხედვით. შესაძლოდ უმოკლეს ვადაში, რომლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია წარდგენილ პრეტენზიაში ასახული ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მოთხოვნების სირთულეზე, მაგრამ არა უგვიანეს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებისა.

დ) მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის (CON130000007) შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმართოს ფიქსირი სატელეფონო მომსახურების 2013 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON130000007) სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გადაიხადოს თანამშრომლების ნომრების მომსახურების საფასური წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და ტარიფების დაცვით.

ბ) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში სრულად დაფაროს მიმწოდებლის მიმართ არსებული დავალიანება.

გ) ერთი კვირის განმავლობაში წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მის რეკვიზიტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველისათვის უმჯობესდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, შეცვალოს ანგარიშსწორების ტარიფები, რის შესახებაც არანაკლებ 30 დღით ადრე წერილობით აცნობებს შემსყიდველს.

ბ) მიწოდებული მომსახურების საფუძველზე წარმოშობილი დავალიანების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში მიმწოდებელი იტოვებს უფლებას დავალიანების მქონე სააბონენტო ნომერს (ნომრებს) შეუჩხუდოს მომსახურების მიწოდება და 45 კალენდარული დღის განმავლობაში შეჩხუდვის საფუძვლის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, გამოიყენოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის მე-14 მუხლი და ამოიღოს წარმოშობილი დავალიანება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შემსყიდველი, თავისი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას ან ამის გარეშე, თავის მხრივ, მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულებით მისათვის შეთავაზებული მომსახურების მიწოდებას ნებისმიერი ფორმით მესამე პირებისათვის სასყიდლით (მოგების მიღების მიზნით), მიმწოდებელი ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით მიმართოს სატენდერო კომისიას.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეტყობინების მიღებიდან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მინიმალურ ვადებში აღმოფხვრას მომსახურებაში არსებული ხარვეზები.

ბ) მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს აბონენტს ამომწურავი ინფორმაცია ტარიფების, ანგარიშსწორების წესის და აბონენტისათვის საჭირო სხვა საკითხების შესახებ.

გ) დაიცვას მომსახურებაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ტექნიკური ნორმები.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრებ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობით ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებ პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამურ ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.6. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ერთი მხარის მიერ მეორისგან მიღებული საქმიანობასთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია ითვლება მკაცრად კონფიდენციალურად ამ შეთანხმების მოქმედების ვადის განმავლობაში. მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომა იმისათვის, რომ არ დაუშვან მესამე პირებთან მიღებული ინფორმაციის გახმაურება.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ კონსოლიდირებული ტენდერის (CON130000007) სატენდერო კომისიას ან სასამართლოს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობი გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალ ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრ ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 10.1 პუნქტში მითითებული დაუძლეველი ძალის არსებობა უნდა დადასტურდ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

10.3 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს მომსახურების შეფერხებაზე ან შეწყვეტაზე, თუ ეს გამოწვეულია აბონენტ მიერ ისეთი საბაბონენტო მოწყობილობის გამოყენებით, რომელიც არ შეესაბამება ასეთი მოწყობილობებისათვ დადგენილ ტექნიკურ ნორმებს.

10.4 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს სატენდერო კომისი თანხმობით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 1 თებერვლიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ქ.გორის # 9 საჯარო სკოლა	შპს „მაგთიკომი"
საიდ.კოდი: 218016732	საიდ.კოდი: 204876606
ბანკი პროკრედიტ ბანკი	საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი:
ბანკის კოდი: MIBGGE22	ბანკის კოდი № BAGAGE22
ა/ა: GE44PC 0143400100000014	ა/ა GE66BG0000000241607901
	გენერალური დირექტორის მოადგილე
ელენე ხაჩიძე	გია კომორიძე

დანართი #1

ჯგუფების სახეობები და ანგარიშსწორება ჯგუფების მიხედვით

მომსახურების სახეობა	ჯგუფი 1	ჯგუფი 2	ჯგუფი 3	ჯგუფი 4	ჯგუფი 5*
კორპორატიული ნომრიდან განხორციელებული ზარების საფასური და დამატებითი მომსახურება	ანგარიშსწორება კორპორატიულ მომსახურებაზე ხორციელდება შემსყიდველის მიერ შუამდგომლის გადახდის პირობით.	ანგარიშსწორება კორპორატიულ მომსახურებაზე და თითოეულ კორპორატიულ ნომერზე ხორციელდება მხარეთა მიერ შეთანხმებული განსაზღვრული თანხის ფარგლებში შემსყიდველის მიერ შუამდგომლის გადახდის პირობით. მხარეთა მიერ შეთანხმებულ თანხაზე მეტი მომსახურების მიღებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მოსარგებლე პირის მიერ წინასწარი გადახდის პირობით.	ანგარიშსწორება ხორციელდება მოსარგებლე პირის მიერ წინასწარი გადახდის პირობით.	ანგარიშსწორება კორპორატიულ ტარიფით განსაზღვრულ თანხაზე განხორციელდება კორპორატიული ნომრის მფლობელის მიერ წინასწარი გადახდის პირობით. კორპორატიული ტარიფით გათვალისწინებული თანხა ნომრის ჩამოცერება უტაპობრივად, კალენდარულ თვეში არსებული დღეების პროპორციულად. მომსახურების მიღებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მოსარგებლე პირის მიერ წინასწარი გადახდის პირობით	ანგარიშსწორება კორპორატიულ ტარიფით განსაზღვრულ თანხაზე განხორციელდება ნომრის მფლობელის მიერ წინასწარი გადახდის პირობით. კორპორატიული ტარიფით გათვალისწინებული თანხა ნომრის ჩამოცერება უტაპობრივად, კალენდარულ თვეში არსებული დღეების პროპორციულად. მომსახურების მიღებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მოსარგებლე პირის მიერ წინასწარი გადახდის პირობით.

* მე-5 ჯგუფში ჩართული ნომრები გაფორმებულია ფიზიკურ პირებზე (რომლებიც არიან მიმწოდებლ აბონენტები, მათ შორის დაპორტირებული აბონენტები), რომელთა აღნიშნულ ჯგუფში ჩართვას ახორციელ მიმწოდებელი შემსყიდველის მიერ გაკეთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. შემსყიდვ უზრუნველყოფს მე-5 ჯგუფის აბონენტების თანხმობას აღნიშნული ჯგუფით გათვალისწინებული პირობებ სარგებლობაზე. ასევე შემსყიდველი იხსნის პასუხისმგებლობას ამ ჯგუფში არსებულ ნომრებთან დაკავშირებ ნებისმიერ საკიხ'ზე, მათ შორის, წარმოშობილი დავალიანების დაფარვაზე. მე-5 ჯგუფში ჩართულ ნომრ ვრცელდება მიმწოდებლის სტანდარტული პირობა როუმინგული მომსახურების ჩართვაზე www.magticom.ge). ხოლო როუმინგული მომსახურების ტარიფები განისაზღვრება დანართი — შესაბამისად.